

საქართველოს კანონი

„საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის“ შესახებ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 13-14, 8.04.98 წ) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქონელი, რომლის წარმოშობა ზუსტად არ არის დადგენილი, იმპორტის საბაჟო რეჟიმით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გაიშვება ამ საქონლისათვის დადგენილი მაქსიმალური განაკვეთით გაანგარიშებული საბაჟო გადასახადის გადახდის შემდეგ.“

2. მე-16 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის პირველი აბზაცი და „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბაჟო გადასახადის 5-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის არაწევრ ქვეყნებში წარმოშობილი შემდეგი საქონლის საქართველოში იმპორტი:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 1211 10 000, 1211 20 000, 1301 10 000, 1301 20 000, 1504 20, 1515 30, 1520 1702 11 000 კოდებში, 28-ე და 29-ე თავებში წარმოდგენილი სამკურნალო ნედლეული და სუბსტანციები, 30-ე თავში მითითებული ფარმაცევტული პროდუქცია, მათ შორის, ვაქცინები, 3912 12 000, 3912 31 000, 7010 10 000, 7010 94 790, 9602 00 000 (ელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონელი, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა;“

ბ) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქონლის იმპორტი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შემდეგი კოდების მიხედვით:

3808 10 - ინექტიცილები;

3808 20 - ფუნგოცილები;

3808 30 - პერბიცილები;

3808 40 - მღეზინფიცირებული საშუალებები;

3808 90 - თესლის შესწამლი პრეპარატები;

3904 10 000 - პოლიენილქლორიდი, სხვა კომპონენტებთან შეურეველი;

4001 - ნატურალური გაზრევი;

4702 00 000 - ცელულოზა შერქნისა, ხსნადი სორტები;

5001 00 000 - ბარემუბის ჭიის პარკი, ამოსახვევად ვარგისი;

5101 - მატყლი, კარლი ან სავარცხლოვ-ნარევი დაშუშების გარეშე;

5106 და 5107 - ნართი შალის აპარატული დართვისა და სავარცხლოვ საცალო გაყიდვისათვის დაუფასოებელი;

5203 00 000 - ბამბისბოჭკო, არქილი ან ნავარცხ-ნარევი;

5402 - ძაფები კომპლექსური სინთეზური (საქრავი ძაფების გარდა), საცალო გაყიდვისათვის დაუფასოებელი;

7207 - ნახევარფაბრიკატები რკინისა ან არალევირებული ფოლადისაგან;

7208 - ბრტყელი ნაგლინი რკინისა და არალევირებული ფოლადისაგან;

7216 - კუთხოვანები, ფასონური ან სპეციალური პროფილები რკინისა და არალევირებული ფოლადისაგან;

7408 - მავთული სპილენძისა;

7606 - ფილები, ფურცლები, ზოლები ან ლენტები ალუმინის;

8713 და 8714 20 000 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტლები, მათი ნაწილები ან საკუთვნობი."

3. მე-18 მუხლი „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ფიზიკური პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში:

ა) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 06, 08, 19 ჯგუფებისა და 0401-0406, 1601, 1702-1704, 2101-2102 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 100 ლარამდე ღირებულების, მაგრამ ჯამური წონით არაუმეტეს 5 კგ. კვების პროდუქტების იმპორტი;

ბ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის მარკეტოვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

გ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 200 ღერი (საქონლო ნომენკლატურის 18-წლამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებული);

ლ.დ) უცხოეთში ნ. თევზე მქეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსულ პირის მიერ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-9 ნ. ჯგუფების შესაბამისი 1500 ლარამდე ღირებულების, 250 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ლ.ე) საქართველოში მუდმივად რეზიდენტობადაა შეთქმული ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ შორის ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი;

4. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბაჟო გადასახადის დაბრუნებას ექვემდებარება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით (გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათავალისწინებული შემთხვევებისა) და იგი გადაიხდებიან საქართველოს საბაჟო საზღვრის გიდაკეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო გაფორმებამდე სხვა საბაჟო გადასახდელთან ერთად.“

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის დაბეგვრის წესისა და დაბეგვრისაგან გათავისუფლებული საქონლის ნუსხის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 მაისის №273 დადგენილება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი